



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 21

07 / მაისი / 2018 წ.

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ.ზ.ალვანში, კულტურის სახლის შენობაში პირველ სართულზე მდებარე 37.9კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4, მე-5 პუნქტის, „მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ზ. ალვანში, კულტურის სახლის შენობაში პირველ სართულზე მდებარე 37.9კვ.მ საიჯარო ფართის ( საკადასტრო კოდი 50.01.35.421) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მოქალაქე გიორგი შველაშვილზე გაცემა:
2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით გასაცემი ობიექტის, სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური- **300.0 ლარის** ოდენობით:
  - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

07

